

თავი 13 დანაშაულის დამძიმება

ახალი მეგობრის შექმნით გახარებული ჯონათანი დაბნეული დახეტილობდა ქუჩებში. იგი მიხვდა, რომ გზა კარგად უნდა დაემახსოვრებინა, თორემ მეორე დღეს ალისასთან შეხვედრის ადგილს ვეღარ მიაგნებდა. მოულოდნელად პოლიციელს გადაეყარა, რომელიც მისი ასაკის იქნებოდა, სკამზე იჯდა და გაზეთს კითხულობდა. ჯონათანი უხეში მატერიის უნიფორმისა და შუქზე მბზინავი იარაღის დანახვაზე დაიძაბა, მაგრამ პოლიციელის სიტყაბუკემ და მისმა ალაღმა გამომეტყველებამ შეება მოჰგვარა. პოლიციელი კითხვაში ჩაფლულიყო. ჯონათანმა გაზეთს ჩახედა და სტატიის სათაური ამოიკითხა: „ლორდები მხარს უჭერენ არალიცენზირებული დალაქების სიკვდილით დასჯას“.

– დალაქებს სიკვდილით დასჯიან? – წამოიყვირა გაოცებულმა ჯონათანმა.

პოლიციელმა ახალმოსულს ახედა.

– უკაცრავად, – თქვა ჯონათანმა – თქვენი შეწუხება არ მინდოდა, მაგრამ სტატიის სათაური რომ წავიკითხე, თავი ვერ შევიკავე. ბეჭდვისას შეცდომა ხომ არ დაუშვეს?

– მოიცა, ვნახოთ, – თქვა პოლიციელმა და ხმამაღლა დაიწყო კითხვა, – „ლორდთა პალატამ ეს-ესაა დაამტკიცა, რომ სიკვდილით დასჯიან ნებისმიერს, ვინც ლიცენზიის გარეშე შეჭრის თმას.“ სულაც არ არის შეცდომა. რა არის ამაში უჩვეულო?

– კი მაგრამ, ასეთი მცირე დანაშაულისთვის ეს ძალიან მკაცრი სასჯელი ხომ არ არის? – ფრთხილად იკითხა ჯონმა.

– არა მგონია, – უპასუხა პოლიციელმა, – სიკვდილით დასჯა საბოლოო ეტაპია, რომელიც ყოველგვარი კანონის დარღვევისას შეიძლება გამოიყენო, არ აქვს მნიშვნელობა, რამდენად მცირე იქნება დანაშაული.

ჯონათანს თვალები გაუფართოვდა.

– რა თქმა უნდა, პირადად თქვენ სიკვდილით არ დასჯილით ადამიანს ლიცენზიის არქონის გამო.

– რა თქმა უნდა, დავსჯიდი, – თქვა პოლიციელმა და იარაღს შეაელო ხელი, – თუმცა, საქმე იშვიათად მიდის აქამდე.

– რატომ?

– სასჯელის უკიდურესი ზომის გამოყენება ყველა დანაშაულისას შეიძლება გახდეს საჭირო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯარიმები მით უფრო იზრდება, რაც ადამიანი მეტ წინააღმდეგობას უწევს კანონს. მაგალითად, თუ ვინმეს მოუნდება თმის შეჭრა ლიცენზიის გარეშე, მაშინ მას ჯარიმა დაეკისრება. ჯარიმის გადახდაზე უარის ან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, დალაქს დააკავებენ და გისოსებს მიღმა ჩასვამენ, – განაცხადა პოლიციელმა, წარბი შეკრა და სახე უფრო გაუმკაცრდა, – დაკავებისას წინააღმდეგობის გაწევა სერიოზულ ჯარიმებს ექვემდებარება. კანონდამრღვევს შეიძლება ესროლონ კიდეც. რაც მეტია წინააღმდეგობა, მით მეტი ძალა გამოიყენება.

ასეთმა სისასტიკემ ჯონათანი ძალიან შეაწუხა.

– ესე იგი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყველა კანონდარღვევის უკიდურესი ზომა სიკვდილით დასჯაა? ალბათ, კომპეტენტური ხელისუფლები არჩევდნენ, სიკვდილით დასჯა ყველაზე მძიმე დანაშაულის შემთხვევაში გამოიყენებინათ, მაგალითად, მკვლელობის ან გაუპატიურების დროს.

– არა, – თქვა პოლიციელმა, – კანონი არეგულირებს მთელ პირად და კომერციულ ცხოვრებას. ასობით პროფესიული საამქრო ამგვარი ლიცენზიებით იცავს თავის წევრებს. ხუროები, ექიმები, სანტექნიკოსები, ბუღალტრები, კალატოზები და იურისტები – თავის საქმეში ჩარევას ვერც ერთი მათგანი ვერ იტანს.

– ლიცენზიები მათ როგორ იცავს? – იკითხა ჯონათანმა.

– ლიცენზიათა რიცხვი საგრძნობლად მცირდება მათთვის, ვინც კონკრეტული საწარმოს წესებს დაიცავს. ეს ახალი იდეების, ზედმეტი ენთუზიაზმის, გადამეტებული აქტიურობისა და უმკაცრესი ფასების დაწესების სურვილის მქონე ადამიანთა მიერ წარმოქმნილ უთანასწორო კონკურენციას აღმოფხვრის. ასეთი არასწორი და არაჯანსაღი კონკურენცია საფრთხეს უქმნის ჩვენ მიერ ყველაზე დასაფასებელი პროფესიების ტრადიციებს.

ჯონათანმა მაინც ვერაფერი გაიგო.

– ლიცენზირება მომხმარებელსაც იცავს?

– კი, რა თქმა უნდა. აი, სწორედ ამაზეა ლაპარაკი. – პოლიციელმა ისევ განაგრძო გაზეთის კითხვა, – „ლიცენზიები მონოპოლიას აძლევს საწარმოებს, რათა მათ დაიცვან მომხმარებლები არაკეთილგონივრული გადაწყვეტილებებისა და ზედმეტად ბევრი ალტერნატივებისაგან.“

ამის შემდეგ პოლიციელმა გულზე მჯიდის ცემით განაგრძო:

– და მე ხელს ვუწყობ მონოპოლიების განვითარებას.

– მონოპოლიები კარგია? – ჩაეკითხა მას ჯონათანი.

პოლიციელმა წარბი შეკრა და გაზეთი ქვემოთ დასწია.

– არ ვიცი, მართალი გითხრათ, მე უბრალოდ ბრძანებებს ვასრულებ.

ხან ვცდილობ მონოპოლიის დანერგვას, ხან კი მეუბნებიან, მონოპოლიის წინააღმდეგ იმოქმედო.

– ჰოდა, რომელი ქმედებაა მართებული?

პოლიციელმა მხრები აიჩეჩა.

– ამაზე ფიქრი უკვე ჩემი საქმე არ არის. ლორდთა საბჭო წყვეტს და მითითებებს მაძლევს, საით მივმართო იარაღი.

პოლიციელმა ჯონათანის გაოგნებულ სახეს შეხედა და კიდევ ერთხელ შეეცადა მის დარწმუნებას.

– არ ინერვიულოთ, სიკვდილით დასჯას იშვიათად მივმართავთ. ცოტა ვინმე თუ ბედავს წინააღმდეგობის გაწევას, რადგან გულმოდგინედ ვცდილობთ, საბჭოსადმი მორჩილება ყველას ვასწავლოთ. სიკვდილით დასჯას იმდენად იშვიათად ახსენებენ, რომ ჩემი უფროსი, ოფიცერი სტიუარტი მას „უხილავ იარაღს“ უწოდებს.

– პისტოლეტი ოდესმე გამოგიყენებიათ? – ჰკითხა ჯონათანმა და

ნერვიულად შეხედა პოლიციელის იარაღს.

– უკანონობის წინააღმდეგ – თქვა პოლიციელმა. პისტოლეტი ტყავის ბუდიდან ამოიღო და ფოლადის ცივ ლულას ხელი გადაუსვა. შემდეგ დასძინა:

– მხოლოდ ერთხელ, – პისტოლეტის ბარაბანი გახსნა და შეამოწმა დატენილი იყო თუ არა. მერე ხმაურით დაკეტა იარაღი და ნაზად შეავლო თვალი.

– კუნძულზე ერთ-ერთი საუკეთესო აღჭურვილობა მოგვცეს. დიახ, მე და

ამ იარაღს კუნძულის მცხოვრებთა სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების დაცვა გვავალია.

– როდის გამოიყენეთ პისტოლეტი? – იკითხა ჯონათანმა.

– უცნაურია რომ ეს კითხვა დღეს მესმის, – უცებ მოიდრეშა პოლიციელი, – მთელი წლის განმავლობაში არ გამომიყენებია, მაგრამ ამ დილას დამჭირდა. ერთი მოხუცი ქალი გაგიჟდა და მუქარა დაიწყო, რომ ბრბოს ჯოხით დაშლიდა. რაღაცას ამბობდა „თავისი“ სახლის დაბრუნების შესახებ. ხედავ, რა ეგოიზმია?!

ჯონათანს გული შეუქანდა. მას თეთრი სახლი და ღირსეული ქალბატონი გაახსენდა, რომელიც მფლობელობაზე პრეტენზიას გამოთქვამდა. პოლიციელმა განაგრძო:

– შევეცადე, დამერწმუნებინა, რომ გაჩერებულიყო. ყველა დოკუმენტი

მწყობრში იყო. მისი სახლის კონფისკაცია იმისთვის მოხდა, რომ ლედი ტვიდის სახელობის საზოგადოებრივი პარკი გაეხსნათ.

– ბოლოს რა მოხდა? – ძლივს ამოდერდა ჯონათანმა.

– შევეცადე, დამერწმუნებინა. ვუთხარი, რომ მცირე სასჯელი დაეკისრებოდა, თუ მშვიდად გამომყვებოდა, მაგრამ დამემუქრა და მისი საკუთრებიდან წასვლა

მიბრძანა! ეს უკვე დაკავებისას გაწეული წინააღმდეგობა იყო. წარმოიდგინე რა გაბედა იმ ქალმა.

– აბა?! – ამოიოხრა ჯონათანმა, – მართლაც გაბედული ყოფილა!

საუბარი შეწყდა. ჯონათანი ჩუმად იდგა და ფეხით ქვას აწვალებდა.

პოლიციელი კი ჩუმად კითხულობდა. ბოლოს ჯონათანმა ნერვები მოთოკა და იკითხა:

– ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იარაღის ყიდვა?

პოლიციელმა გაზეთის გვერდი გადაფურცლა და უპასუხა:

– არა, რას ამბობთ! ასე ხომ შეიძლება ვინმე დაშავდეს.